ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია | საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაცია | გადაარჩინე სიცოცხლე ჩაიტარე ხელის ჰიგიენა

ხელის ჰიგიენის ინიციატივების შესახებ მენეჯერების საინფორმაციო წერილის ნიმუში

შესავალი

ეს დოკუმენტი წარმოადგენს წერილის ნიმუშს, რომელიც დაეხმარება ხელის ჰიგიენის ადგილობრივ კოორდინატორს ან პირ(ებ)ს, ხელმძღვანელებისა და ლიდერებისთვის მნიშვნელოვანი შეტყობინებების მიწოდებაში სამედიცინო დაწესებულებაში ხელის ჰიგიენის გაუმჯობესების ინიციატივების დანერგვისა ან გააქტიურებისათვის.

ჯანდაცვის დაწესებულებებისთვის ხელის ჰიგიენის გაუმჯობესების სტრატეგიის დაგეგმვისა და ინიცირების საწყის ეტაპზე, რეკომენდებულია დაწესებულების მმართველი ხელმძღვანელები/ლიდერები გაეცნონ ხელის ჰიგიენის გასაუმჯობესებლად არსებულ ინიციატივებს. კრიტიკულად მნიშვნელოვანია გაუმჯობესების ინიციატივების შესახებ მკაფიო გზავნილების მიწოდება, სადაც მითითებული იქნება, სად და ვის მიერ უნდა განხორციელდეს საჭირო ქმედება.

სამედიცინო დაწესებულებაში ხელმძღვანელების/ლიდერების პოზიციები შეიძლება იყოს:

- კლინიკის დირექტორი/აღმასრულებელი დირექტორი
- კლინიკური დირექტორი
- ხარისხის მართვის ხელმძღვანელი
- დეპარტამენტების ხელმძღვანელი ექიმები
- უფროსი ექთნები/ დეპარტამენტების ხელმძღვანელი ექთნები /დეპარტამენტების ხელმძღვანელი დიასახლები
- და სხვა

გავრცელდება თუ არა საბოლოო შეტყობინება, რომელიც მომზადებულია წინამდებარე ნიმუშის მიხედვით, წერილით, ელექტრონული ფოსტით თუ ზეპირად, უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად, ჯანდაცვის დაწესებულების მიერ.

წერილის ნიმუშში საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შეიტანოთ ცვლილებები და ინფორმაცია ადგილობრივ საკითხებთან დაკავშირებით, ან შეცვალოთ ტექსტი საჭიროებისამებრ

<ჩასვით სამედიცინო დაწესებულების დასახელება>

<ჩასვით მისამრთი 1>

<ჩასვით მისამრთი 2>

<ჩასვით მისამრთი 3>

<ჩასვით მისამრთი 4>

<ჩასვით თარიღი>

ბატონო/ქალბატონო <ჩასვით სახელი>

ჩვენი დაწესებულება ამჟამად ჩართულია სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების დაძლევის ინიციატივის მოსამზადებელ პროცესში, რომელიც ფოკუსირებულია ხელის ჰიგიენის გაუმჯობესებაზე. ჩვენ ვემზადებით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელის ჰიგიენის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების ჯანდაცვის სფეროში განსახორციელებლად. ამ პროცესში გამოიყენება ჯანმოს მიერ მომზადებული დეტალური სამოქმედო გეგმა და მასალების ნაკრები, რომლებიც მომზადებულ იქნა ინიციატივის „გადაარჩინე სიცოცხლე **ხელის ჰიგიენის შესრულებით“** ფარგლებში. ამით ჩვენ მიზნად ვისახავთ, გავხდეთ ძირითადი, გლობალური ძალისხმევის ნაწილი ჯანმოს ხელმძღვანელობით.

<ჩასვით სამედიცინო დაწესებულების დასახელება> უკვე ცდილობს / სცადა წარსულში <ჩაასწორეთ შესაბამისად> უსაფრთხოების/ინფექციის კონტროლის განსახორციელებლად <ჩასვით ბოლო მცდელობების მაგალითები >. დაგეგმილი ინიციატივა „გადაარჩინე სიცოცხლე **ხელის ჰიგიენის შესრულებით“** გვაქცევს ჯანდაცვის დაწესებულებების გლობალური ქსელის ნაწილად და მოგვცემს საშუალებას ხელის ჰიგიენის გაუმჯობესებით შევამციროთ სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციები.

ხელის ჰიგიენაზე ფოკუსირება გულისხმობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, მულტიმოდალური ხელის ჰიგიენის გაუმჯობესების სტრატეგიის განხორციელებას. ეს არის გლობალური მტკიცებულების აღიარება, რომ ხელის ჰიგიენა მჭიდრო კავშირშია ინფექციის გადაცემასთან, მაგრამ სამედიცინო სფეროში დასაქმებული პერსონალის მიერ ხელის ჰიგიენის რეკომენდაციების დაცვა საყოველთაოდ დაბალია. ზოგიერთ საერთაშორისო კვლევაში ეს მაჩვენებელი 8%-მდეა.

ხელის ჰიგიენის გაუმჯობესების სტრატეგია მოიცავს:

- ხელის ჰიგიენის შესრულების სრულყოფას (<ჩასვით შესაბამისი მაჩვენებლები, თუ ცნობილია >), რაც გულისხმობს ჯანდაცვის უფრო მეტი მუშაკის მიერ ხელის ჰიგიენის წესების სრულყოფილად შესრულებას ყოველი საჭიროების დროს.

- სისტემის ისე შეცვლას, რომ პაციენტის ყოველი მოვლის ადგილას შესაძლებელი იყოს ხელების დამუშავება ხელის სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით.
- სამედიცინო დაწესებულებებში ხელმისაწვდომი და უსაფრთხო წყალმომარაგების გაუმჯობესებას, სამედიცინო მუშაკების საპნითა და ხელსახოცებით უზრუნველყოფას
- სხვა ზომების ერთობლიობას, რომელიც შექმნილია ჯანდაცვის მუშაკების ქცევაზე გავლენის მოსახდენად და მათ შორის ხელმძღვანელების/ლიდერების მხარდაჭერის მოსაპოვებლად ხელის ჰიგიენისა და ინფექციის კონტროლის საქმეში.

კლინიკური დაავადების ტვირთი, რომელიც განპირობებულია სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციებით <ჩასვით დაწესებულების დასახელება> არის <ჩასვით ნებისმიერი თარიღი და მონაცემი ჰოსპიტალური ინფექციების რეესტრებიდან, დაწესებულებაში გავრცელების კვლევებიდან ან ეროვნული კვლევებიდან, ან მიუთითეთ „ამჟამად უცნობია”>. თუმცა, განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი მერყეობს 5-15%-მდე და შეიძლება გავლენა იქონიოს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოთავსებული პაციენტების 10-40%-ზე. განვითარებად ქვეყნებში მონაცემები შეზღუდულია, მაგრამ ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, რომ პაციენტების 19%-მდე აქვს სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციები ნებისმიერ დროს და ის აშკარად არის პაციენტის უსაფრთხოების მთავარი პრობლემა.

ჯანმო-მ შეიმუშავა „ჩემი 5 მომენტი ხელის ჰიგიენისთვის“ მიდგომა განათლებისა და შესაბამისობის შეფასების გასამარტივებლად და ცნობიერების ასამაღლებლად, თუ როდის უნდა მოხდეს ხელის ჰიგიენის დაცვა. ამ წერილს თან ერთვის „ჩემი 5 მომენტი ხელის ჰიგიენისთვის“ მიდგომის ვიზუალური გეგმა. ეს მიდგომა მოუწოდებს ჯანდაცვის მუშაკებს ჩაიტარონ ხელის ჰიგიენა (1) პაციენტთან შეხებამდე, (2) სუფთა/ასეპტიკური პროცედურების ჩატარების წინ, (3) პროცედურების შემდეგ, რომელთა ჩატარება დაკავშირებულია სხეულის ბიოლოგიურ სითხეებთან შეხების შემდეგ, მაგ.როგორიცაა შარდის მიმღების დაცლა. (4) პაციენტთან შეხების შემდეგ (5) პაციენტის გარემოსთან შეხების შემდეგ.

მედიცინის ყველა მუშაკმა, მათ შორის ხელმძღვანელებმაც უნდა იცოდნენ „ჩემი 5 მომენტი ხელის ჰიგიენისთვის“ მიდგომის შესახებ.

სამედიცინო დაწესებულებაში ხელის ჰიგიენის გაუმჯობესება დაიცავს პაციენტის სიცოცხლეს, აარიდებს მას სამედიცინო მომსახურეობასთან ასოცირებულ ინფექციებსა და ამ დაავადებით განპირობებულ ფინანსურ ტვირთს.

ისეთი გავლენიანი მენეჯერების მხარდაჭერის გარეშე, როგორიც თქვენ ხართ, ხელის ჰიგიენის გაუმჯობესების ინიციატივა წარუმატებლობის საფრთხის წინაშეა. თქვენი მხარდაჭერა გადამწყვეტია ჩვენი გუნდის წარმატებისათვის, რაც მნიშვნელოვანია მთელი ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

კერძოდ, თქვენი მხარდაჭერა და მონაწილეობა მდგომარეობს შემდეგ აქტივობებში:

- ხელის ჰიგიენის გაუმჯობესების ინიციატივების განხილვა მაღალი დონის ორგანიზაციულ, გუნდურ ან დეპარტამენტების შიდა შეხვედრებზე
- ხელის ჰიგიენის მნიშვნელობის შესახებ ცოდნის გაღრმავებისათვის ხელის შეწყობა ჯანდაცვის მუშაკებთან პირისპირ დისკუსიების დროს.
- იყავით მისაბაძი - უმცროსი პერსონალის ხელის ჰიგიენის დაცვაზე ძლიერ გავლენას ახდენს გუნდის უფროსი წევრების და ხელმძღვანელების მაგალითი.
- მისაბაძი როლის შესასრულებლად გამოიყენეთ და დემონსტრირება მოახდინეთ მეთოდის: "ჩემი 5 მომენტი ხელების ჰიგიენისთვის"

ჩვენ მივესალმებით თქვენს კომენტარს და გამოხმაურებას ყველა დაგეგმილ ინიციატივაზე და მადლობას გიხდით მუდმივი მხარდაჭერისთვის.

დამატებითი ინფორმაცია მოგვიანებით გახდება ცნობილი. იმავდროულად, თუ თქვენ გაქვთ რაიმე შეკითხვა, გთხოვთ, ნუ მოგერიდებათ დაკავშირება **<ჩასვით დაწესებულების საკონტაქტო პირის მონაცემები>** ან ეწვიეთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პაციენტის უსაფრთხოების ვებსაიტს მისამართზე: **www.who.int/gpsc/5may/en/**.

პატივისცემით,

<ჩასვით სახელი >

<ჩასვით დასახელება/პოზიცია>

მოვლის ადგილის განმარტება: ადგილი, სადაც სამი ელემენტია გაერთიანებული:პაციენტი, ჯანდაცვის მუშაკი და ზრუნვა ან მკურნალობა, რომელიც მოიცავს კონტაქტს პაციენტთან ან მის გარემოცვასთან (პაციენტის ზონა). კონცეფცია მოიცავს ხელის ჰიგიენის საჭიროებას რეკომენდებულ მომენტებში ზუსტად იქ, სადაც ხდება ჩარევა. ამისათვის საჭიროა ხელის ჰიგიენის პროდუქტი, მაგ. ალკოჰოლზე დაფუძნებული ხელის სადეზინფექციო საშუალება. რომელიც, უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი და რაც შეიძლება ახლოს (ხელის გაშვერის დონეზე) პაციენტის მოვლის ან მკურნალობის ზონაში, მისი დატოვების გარეშე.

ალკოჰოლზე დაფუძნებული ხელის სადეზინფექციო საშუალებების ხელმისაწვდომობა მოვლის/მკურნალობის ზონაში როგორც წესი, ხორციელდება პერსონალის მიერ სადეზინფექციოს საშუალებების ტარებით (ჯიბის ბოთლები), კედელზე დამონტაჟებული დისპენსერებით, კონტეინერებით, რომლებიც დამაგრებულია პაციენტის საწოლზე ან საწოლის მაგიდაზე ან ურიკაზე , რომლებიც ხშირად შეაქვთ და გამოაქვთ პაციენტის მოვლის/მკურნალობის ზონაში.